



## სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს მთავრობის სამინისტრო ფონდის გენერალური დირექტორის

ბრძანება № 40

ქ. თბილისი

5 აპრილი 2018 წ.

„2017 წლის თურქეთის სამეცნიერო და ტექნოლოგიური კვლევის საბჭოსა (TUBITAK) და სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსის გამოცხადების შესახებ“- სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2017 წლის 24 ნოემბრის N155 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საერთაშორისო ურთიერთობებისა და ფონდების მოზიდვის სამსახურის სპეციალისტის, სამსახურებრივი ბარათის (N386362, 05.04.2018) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება 2017 წლის თურქეთის სამეცნიერო და ტექნოლოგიური კვლევის საბჭოსა (TUBITAK) და სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსის გამოცხადების შესახებ“- სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2017 წლის 24 ნოემბრის N155 ბრძანებაში და ბრძანების მე-2 პუნქტით დამტკიცებული დანართი ერთის მე-6 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 6. კონკურსის ეტაპები

კონკურსის მირითადი ეტაპებია:

- ა) კონკურსის გამოცხადება (2017 წლის ნოემბერი);
- ბ) პროექტების რეგისტრირება TUBITAK-ის ელექტრონულ სისტემაში (2018 წლის 1 მარტამდე);
- გ) ფონდის კანცელარიაში საჭირო დოკუმენტაციის წარდგენა (2018 წლის 15 მარტამდე);
- დ) დამფინანსებელი მხარეების მიერ პროექტების კონკურსის პროგრამასა და პირობებთან შესაბამისობის დადგენა (2018 წლის მარტი - მაისი);
- ე) ფონდისა და TUBITAK-ის მიერ პროექტების შეფასება (2018 წლის მაისი - აგვისტო);
- ვ) ერთობლივი კომისიის სხდომა - (2018 წლის სექტემბერი);

- ზ)რანჟირებული სიის შესაბამისად დასაფინანსებელად შერჩეული პროექტების დამტკიცება ფონდის გენერალური დირექტორის მიერ (2018 წლის სექტემბერი-ოქტომბერი);  
თ) საგრანტო ხელშეკრულებების გაფორმება (2018 წლის ოქტომბერი).
2. დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების ფონდის ვებგვერდზე განთავსება;
3. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

ნინო გაჩეჩილაძე

გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი